სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

31 ივლისი 2023 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 123

2023 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის მოხსნის შესახებ

„2023 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსის დაწესების და კონკურსის გამოცხადების შესახებ " სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 26 ივნისის N103 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესისა მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2023 წლის 31 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N943678) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2023 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საკონკურსო განაცხადი:

პროექტის შიფრი	**კონკურსიდან მოხსნის მიზეზი**
RA-23-163	ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი